ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7730284

ნომერი: AR11119387

თარიღი : 28.11.2025

გაცემის თარიღი : 05.12.2025

გაცნობის თარიღი : 05.12.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ფონიჭალა , IV მაცივარი , მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ზამბახიძე პ/ნ 01027077557
- თბილისი დ.გურამიშვილის გამზ. N 48 ბ. 63

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 4 ნოემბრის №7690374 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 28 ნოემბრის №AR11119387 განცხადებით მომართა ირაკლი ზამბახიძემ და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 4

ნოემბრის №7690374 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 4 ნოემბრის №7690374 ბრძანებით, ცვლილება შევიდა სამსახურის 2025 წლის 18 ივლისის №7559590 ბრძანებაში მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 04 ნოემბრიდან 2027 წლის 04 ნოემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 4 ნოემბრის №7690374 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტის 1-ელ ქვეპუნქტში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, გამორჩენილია ჩანაწერის - „საპარკინგე სივრცის მოწყობასთან“ დაფიქსირება. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა დოკუმენტაციის (მათ შორის, სამსახურის 2025 წლის 4 ნოემბრის №7690374 ბრძანებით შეთანმხებული მშენებლობის კალენდარული გრაფიკის) გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 4 ნოემბრის №7690374 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტის 1-ლი ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1). მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია სამშენებლო მოედნის მოწესრიგებასთან, საპარკინგე სივრცის მოწყობასთან, დროებითი შენობის, სამშენებლო მასალების განთავსების ადგილის, საპროექტო ობიექტთან მისასვლელი დროებითი სატრანსპორტო პანდუსის მოწყობასთან, მათ შორის, არსებული ნაგებობის 3(1) (ნაწილის 7 ღ-დან - 8 ღ-ის ჩათვლით) ასევე 12(1), 13(1), 14(1), დაშლასთან და სამშენებლო ნაგვის მოცილებასთან, შესანარჩუნებელი მწვანე ნარგავების დაცვასა და მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკაციების დატანასთან.“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 4 ნოემბრის №7690374 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 4 ნოემბრის №7690374 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.